




Հրահր Գրքեր

N° 1

336080

საქართველოს



ქრისტიანობისა

წმიდა ნინოს

ქართულ მართლმადიდებელ მკვირვლის

ორგანო


LA CROIX DE SAINT NINO

Bulletin paroissial de la Paroisse orthodoxe
géorgienne de Paris

მარიამობისთვის, 1931 წ.

Paris, 1931

საქართველოს
მართლმადიდებელი
ეკლესია



მსოფლიო პატრიარქის ბასილ მესამეს
ეპისტოლე

(თარგმანი ბერძნულიდან)

ბასილი, მთავარ-ეფისკოპოსი კონსტანტინეპოლისა, ახალ რომისა და მსოფლიო პატრიარქი.

დავთარის №659.

ყოვლად-უსამღვდელოესო მიტროპოლიტო თეატირისა, ჰიპერმიტო და ეკზარხოსო დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპისა, სული წმინდის მიერ ფრიად საყვარელო ძმად და ჩვენი უმცირესობის თანა-მოსამსახურევე, — უფალო გერმანოსო, ღმერთმა მისცეს თქვენს ყოვლად-უსამღვდელოესობას წყალობა და მშვიდობა.

გულდასმით განვიხილეთ, რაც თქვენმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ წარადგინა წერილი წარსულ გიორგობისა 26-ს თარიღით, № 714, შესახებ თხოვნისა, რომელიც თქვენს ყოვლად-უსამღვდელოესობას წარუდგინა პარიზის ქართულ მართლმადიდებელ მრევლმა, რათა მიღებულ იქმნეს თქვენი ყოვლად-უსამღვდელოეს კურთხევის და მფარველობის ქვეშ.

პასუხად, თანახმად სინოდის დადგენილებისა, ვაცხადებ შემდეგს:

ვინაიდან ზემოაღნიშნულ მრევლის ხსენებული თხოვნა სავსებით ეთანხმება ჩვენის უწმიდეს მსოფლიო საპატრიარქო ტახტის განფანტულ მართლმადიდებელ მრევ-

ლებზედ სულიერ იურისდიქციის კანონიურ პრინციპს, — ხსენებული თხოვნა მიღებულ უნდა იქნეს თქვენის ყოვლად-უსამღვდელოესობის მიერ, მით უმეტეს რომ, თანახმად თქვენის ყოვლად-უსამღვდელოესობისაგან შემდეგ მიღებულ ცნობისა, პარიზის მართლმადიდებელნი ქართველნი ხელს იღებენ მათ მიერ წინად დასმულ იმ პირობაზე, რომ ჰყოფილიყვნენ თქვენის ყოვლად-უსამღვდელოეს მიტროპოლიის მმართველობის და მფარველობის ქვეშ, მხოლოდ ვიდრე მათთვის შეუძლებელი იქნებოდა ივერიის ეკლესიასთან ურთიერთობის დაჭერა და მასთან კავშირის აღდგენა.

შედეგად ამისა თქვენმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ იმოქმედოს თანახმად ზემოხსენებულისა, მხოლოდ იმ ზრუნვითა, რომ იმ იურისდიქციაში, რომელსაც იკისრებს თქვენი ყოვლად-უსამღვდელოესი მიტროპოლია, — თქვენი ყოვლად-უსამღვდელოესობის განწყობილება მართლმადიდებელ ქართველებთან არასფრით არ დაშორდეს კანონიურ წესს.

წყალობა და განუსაზღვრელი ღმობიერება ღვთისა იყავნ თქვენს ყოვლად-უსამღვდელოებასა თანა.

ქრისტეს მიერ ფრიად მოყვარული ძმა

კონსტანტინეპოლელი ბასილი

აპრილისა 29-ს 1929 წ.

დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის
ეკზარხოსის, თიატირის მიტროპოლიტის
გერმანოსის წერილი

(თარგმანი ფრანგულიდან)

ენკენისთვისა 17-ს. 1929 წ.

ქართულ მართლმადიდებელ მრევლის
სამრევლო საბჭოს თავჯდომარისა და წევრთა მიმართ.

პარიზი.

№ 888 ა.

ძვირფასნო და იესო-ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელ-
ნო ძენო,

დიდის სიხარულით წავიკითხეთ თქვენი წერილი 18 მა-
რიამობისთვის თარიღით, რომლითაც აცხადებთ ქართულ
მართლმადიდებელ მრევლის დაარსებას, დამაარსებელ
კრების მიერ წესდების მიღებას და, — მიღებულ წესდე-
ბის თანახმად, — სამრევლო საბჭოს წევრთა, მოადგილე
წევრთა (კანდიდატთა) და სარევიზიო კომისიის წევრთა
და აგრეთვე სამრევლო საბჭოს მოხელეთა არჩევას. მი-

ვიღეთ აგრეთვე თქვენს წერილს დართული „სარწმუნოებრივი საზოგადოების“ წესდება ჩვენდამი ორ ცალად წარმოდგენილი, — ერთი ჩვენ მიერ დასადასტურებლად და მეორე თიატირის ეპარქიის არქივისათვის.

თქვენი შვილობრივი თხოვნის თანახმად უაღრესის ყურადღებით წავიკითხეთ ხსენებული წესდება, აღვიარებთ, რომ იგი ეთანხმება საეკლესიო კანონებს და წესებს მსოფლიო პატრიარქატისა, რომლის მაღალი მფარველობა და იურისდიქცია თქვენ მიღებული გაქვთ თიატირის ამა მიტროპოლიის, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის მართლმადიდებელ ეკლესიათა ეკზარხატის შუამავლობით და ვადასტურებთ ამა წესდებას ჩვენის ხელის მოწერით და ჩვენი ბეჭდის დასმით იმ ცალზე, რომელსაც გიბრუნებთ.

ვიღებ რა ცნობად თქვენს ერთგულობას და მორჩილებას მის უწმიდესობის მსოფლიო პატრიარქისადმი, რომელსაც ახლო მომავალში წარვუდგენთ თქვენს შვილობრივ თაყვანის გრძნობებს, ვუძღვნით ჩვენს სამწყსო კურთხევას იმ სამღვთო საქმეს, რომელიც თქვენ გიკისრნიათ სადიდებლად უფლისა ჩვენისა, პატივსაცემად მართლმადიდებელ ეკლესიისა და მისთა წევრთა, მართლმადიდებელ ქართველთა ხსნისათვის. გისურვებთ დიდს წარმატებას და წინსვლას თქვენ რელიგიურ აღნაგებაში იესო-ქრისტეს მიერ და მის სულიერ ნიჭთა სრულ სიუხვეს. წყალობა უფლისა ჩვენისა იესო-ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა. ამინ.

მიტროპოლიტი თიატირისა

ეკზარხოსი დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპისა.

გერმანოს

მართლმადიდებელი კალენდარი

მარიამობისთვე — 31 დღე.

1. შაბათი. დღესასწაული ძელისა ცხოველ-მყოფ ჯვარისა, 'მვიდთა ძმათა მაკაბელთა. დასაწყისი მარხვის.
2. კვირა. აღმოყვანება ნაწილთა პირველ მოწამე სტეფანის.
3. ორშაბათი. წმ. რაჟდენის, რომელი იწამა ქართლს, სოფ. წრომს; ქართული ეკლესიის პირველ მოწამის.
4. სამშაბათი. შვიდთა ყმათა ეფესელთა.
5. ოთხშაბათი. წინა დღესასწაული ფერისცვალების; მოწამე ევგენიასი.
6. ხუთშაბათი. ფერისცვალება.
7. პარასკევი. მოწამე დომენტისი.
8. შაბათი. ემელიანეს აღმსარებელის.
9. კვირა. მოც. მატათასი.
10. ორშ. მოწამე ლავრენტისი.
11. სამშ. მოწ. ევლოსი.
12. ოთხშ. მოწამე ფოტიოზ და ანიკიტესი.
13. ხუთშ. მაქსიმე აღმსარებელისა; მოწ. ირინესი.
14. პარ. წინასწარმეტყველ მიქასი.
15. შაბ. მიძინება ღვთისმშობლისა.
16. კვირა. წაღება ედესიდან კონსტანტინეპოლს ხელთ უქმნელ ხატის უ. ჩ. იესო-მაცხოვრის; ანჩისხატობა; წმ. ანტონ მარტყოფელის.

17. ორშ. მოწ. მირონისი.
18. სამშ. მოწ. ფლორა და ლავრასი.
19. ოთხშ. მოწ. ანდრია სტრატილათისა.
20. ხუთშ. წინასწარმეტყ. სამუელის.
21. პარ. მოც. თადეოზის.
22. შაბ. მოწ. ალათონიკის.
23. კვირა. მოწ. კალენიკესი.
24. ორშ. მღ-მოწ. ევტიხის.
25. სამშ. მოც. ბართლომე და ტიტესი.
26. ოთხშ. მოწ. ანდრიანე და ნატალიასი.
27. ხუთშ. ღირ. პიმენის.
28. პარ. მოწ. შუშანიკის.
29. შაბ. თავის კვეთა წმ. იოანე ნათლის მცემლის.
(მარხვა).
30. კვირა. ალექსანდრე კონსტანტინეპოლ. პატრიარქ.
31. ორშ. დაგება პატიოსნისა სარტყელისა ღვთის-
მშობელის.

ჩვენი მრევლის ცხოვრება

კვირას, აგვისტოს 23-ს წირვა, - ქადაგებით, პარიზში.

ნათლობა შეიძლება ყოველ-დღე ნასადილევს, მღვდელ-თან წინდაწინ შეთანხმებით.

ყოველი ქართველი ემიგრაციაში მოვალეა შეძლების და-გვარად ხელი შეუწყოს პარიზში ეკლესიის აგებას და საერთოდ სამრევლო ცხოვრების მოწყობის საქმეს.

ეკლესიას შემოსწირეს: —

ბ-ნმა ალლენმა ივერიის სასწაულთ-მომქმედი ხატის კოპიო მე-16 საუკუნის.

ქალბ. ცაცუ ჩარკვიანმა პატარა ღვთის-მშობლის ხატი სამსხვერპლოსათვის.

შაბათს, მაისის 3-ს, რუმინულ ეკლესიაში, პარიზში, ჯვარი დაიწერა საფრანგეთის ავიაციის ოფიცერმა ბ. ნიკოლოზ თოხაძემ თამარ (სუნანა) ექიმ ლამბაშიძის ასულზე

ბ. ნაკაიძის ხელმძღვანელობით შესდგა ქართული საეკლესიო გუნდი.

„ჯვარი ვაზისა“-ს მომავალ ნომერში დაიბეჭდება სხვა-თა შორის მიწერმოწერა საქართველოს კათოლიკოსის ქრისტეფორე მსოფლიო პატრიარქთან; სია მღვდელ-მთავართა; მ. გრ. ფერაძის მიერ ახლად თარგმნილი ძველი ებრაულიდან „შაირთა შაირი“ (ქებათა ქება); და სრული სია შემომწირველთა და სხვა.

მღვ. ბრ. ფერაძე

(ბიოგრაფია)

გრ. ფერაძე დაიბადა 13—9—1899 სოფ. ბაკურციხეში (სემინარის მაზრა), სადაც მამა მისი რომანოსი მკაცრად იტოვებდა. სწავლა დაიწყო გრიგოლი ტფილისის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1918 წელს; საკათალიკოსო საბჭომ მაშინდელ სემინარიის რექტორს პროფ. კეკელიძის შუა-

მდგომლობით მიმართა გენერალ ფონ კრესს გრ. ფერადისათვის რომელიმე გერმანულ თეოლოგიურ ფაკულტეტზე სტიპენდიის მიცემის შესახებ, (ვინაიდან როგორც პირველი ხარისხით სწავლა-დასრულებულსათვის წისი გაგზავნა რუსეთის რომელიმე აკადემიაში ბოლშევიკური რევოლუციის გამო შეუძლებელი იყო). ფონ კრესსი ოფიციალ მიმართვით შეჰპირდა საკათალიკოსო საბჭოს, მაგრამ გერმანიაში ამტყდარმა რევოლუციამ ამ გეგმას ხელი შეუშალა. გრ. ფერადე წავიდა მასწავლებლად ს. ზემო-ხანდაკში (გორის მაზრა), 1919 წ. მას გაიწვევენ ჯარში და იგი მსახურებს გორში, ბორჯომში და ახალციხეში; ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ იგი მიდის მასწავლებლად ს. მანავში 1921 წ. მარტში; იმავე წელს გარე-კახეთის სამღვდლოება აგზავნის მას წარმომადგენლად მესამე საეკლესიო კრებაზე გელათში, სადაც მისი ევროპაში გაგზავნის საკითხი, ისევე პროფ. კეკელიძის და მიტრ. ნაზარის შუამდგომლობით, ხელმეორედ ისმება. ცნობილ მოღვაწე არტურ ლაისტის დახმარებით იგი სტოვეებს საქართველოს 1921 წ.

გერმანიაში ჩამოსვლისას გრ. ფერადე სწავლობს სამი წელიწადი ბერლინის უნივერსიტეტში (1922—25) და ერთ ბონნში. თეოლოგიასთან ერთად აგრეთვე აღმოსავლურ ენებს: ძველ ებრაულს, სირიულს, არაბულს, კოპტურს და სომხურს. 1926 წ. იგი აბარებს სადოკტორო გამოცდებს ფილოსოფიურ ფაკულტეტზე და მიემგზავრება ბელგიაში ცნობილ ბოლანდისტ პეტერსთან სამუშაოდ და იქიდან ლუვენის უნივერსიტეტში, სადაც რჩება ერთი წლით; შემდეგ ხერხდება ერთი წლით სტიპენდია ინგლისში, მაგრამ სამწუხაროდ, 1927 წ. ბონნში კვდება ცნობილი ორიენტალისტი და ქართველოლოგი გუსენი, და მის ალაგას იწვევენ გრ. ფერადეს. სამი და ნახევარი თვის ინგლისში ყოფნის შემდეგ, უბრუნდება ბონნს, სადაც დღევანდლამდე მუშაობს.

1927 წ. ცნობილ საეკლესიო კონფერენციაზე. ლო-
ზანაში, გრ. ფერაძეს მიიწვევენ გერმანელ და შვეიცა-
რელ (ძველი კათოლიკების) დელეგატთა რჩევით საქარ-
თველოს ეკლესიის კოოპტურ წარმომადგენლად.

გრ. ფერაძე გამოქვეყნებული აქვს სხვა და სხვა ენაზე
სამეცნიერო შრომანი და გამოკვლევანი, რომელთა შო-
რის შემდეგი არიან;

ქართული ბერობის შესახებ (გერმანულ ენაზე)
ბერობის დასაწყისი საქართველოში (გერმანულად)
ქართველ ბერთა ლიტერატურული მოღვაწეობა ათონის
მთაზე (ფრანგულად). შობის დღასასწაული იერუსა-
ლიმში მე-7 საუკუნეში, — ცნობილ ლიტურლისტ პრ.
ბაუმშტარკთან ერთად. ძველი ქართული ლიტერატურა
და მისი პრობლემები (გერმ.). წინაბიზანტიური ლიტურ-
ლის შესახებ საქართველოში (გერმ.). ეს გამოკვლევა
ჯერ მოხსენებს სახით წაკითხულ იქმნა 1928 წ. ბონნში,
ორიენტალისტთა კრებაზე, სადაც შემდეგ პლენარულ
კრებაზე გამოტანილ იქმნა რეზოლუცია ქართულ ლი-
ტერატურულ ნაშთების მნიშვნელობის და გერმანულ
უნივერსიტეტებში მათი შესწავლის აუცილებლობის შე-
სახებ. ეს რეზოლუცია წარედგინა პრუსიის განათლების
მინისტრს ბეკერს.

პრობლემანი ქართულ სახარების თარგმნისა, — წაკით-
ხული ვენაში, 1930 წ. და დაბეჭდილი. ძველი ქართუ-
ლი ლიტ. შესახებ საქართველოში (გერმ.) ეს გამოკვლევა
იბეჭდება გაგრძელებით, დღემდე ბოლოდ ასოები: ა, ბ,
ც, დ, ე, ფ, გ, (კეკელიძის კატალოგის მიხედვით). ესკიზე-
ბი ქართულ კულტურულ ცხოვრებიდან: 1) წმიდა გიორ-
გის შესახებ, 2) სპეციფიური ქართული ბერობის შესახებ
მართლმადიდებელ ბერობაში.

ქალაგება

წარმოთქმული პირველ ქართულ მართლმადიდებელ წი-
რვაზე, პარიზში, მაისის 31-ს, 1931 წ.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

როგორც იყო ჯადოსნური წრე გაირღვა და ჩვენ გვე-
ღირსა უცხოეთში — ათი წლის შემდეგ აქ ყოფნისა —
ჩვენი ქართული წირვის მოსმენა პრიმიტიულ პირობებში
რასაკვირველია. არა ისე როგორც ჩვენა ვართ ჩვეული
საქართველოში — მდიდარ მოწყობილ საუცხოო ტაძ-
რებში — სავსე ჩვენი ძველი ხატებით, გაწვრთნილ და
გამოცდილ მგალობლებით; მაგრამ რაც დღეს არ გვაქვს
შეიძლება ის გვექნეს ხვალ. მთელი მომავალი ჩვენი მრე-
ვლის და ეკლესიის თვითუფლის თქვენთაგანის ხელშია
და ჩემი პირველი თხოვნაა თქვენდამი: დაგვეხმარეთ, რომ
ჩვენ აქ უცხოეთში შეგვეძლოს ჩვენი საკუთარი სამლოც-
ველოს, ჩვენი რელიგიური და კულტურული ცენტრის
შექმნა.

პირველი ქართული წირვა ამოდენა ხნის პაუზის შემ-
დეგ უნდა იყოს განცდებით სავსე ყოველ აქ დამსწრე-
სათვის. მოგონებანი ჩვენი წარსულიდან, როდესაც ჩვენ
ვიყავით ჩვენს სამშობლოში. ცენტრი ამ მოგონებებში
უკავია იმას, ვინც ჩვენ პირველად დაგვასწავლა სახელი
ღვთისა, ვინც სცდილობდა ჩვენში ჩაენერგა სიყვარული

და შიში ღვთისადმი, ვისაც პირველად ხელდაკერილი და-
ჰყავდა ჩვენი თავი ეკლესიაში — ჩვენი ქვეყნის მოწამეს
— ჩვენ ქართველ დედას.

ძვალ დამკვნარი სხეული, ცრემლი ჩამოკვეთილი,
ხშირად ჩამომსხვრეული, მუდამ ჩამოწვეთილი,
სახე მხდარი, ხნიერი, ვედრებაში გართული,
ლოცვა გულისხმიერი ზეცისკენ მიმართული...

დედის ოთახი ყოველთვის თბილი,
დაბალ კედლებზედ ძველი ხატები.
ხატის წინ სამი თაფლის სანთელი
და ვერცხლით სავსე პატარა ქისა.
ხატზედ დოღბანდი და შარშანდელი
ფოთოლ დამკვნარი წმიდა შტო ბზისა...

ასეთი მოგონებანი არიან მხოლოდ მოგონებანი, თუ
გნებავთ სასიამოვნო და ტკბილი.

რელიგიური განცდა ამგვარ მოგონებებს არ დაერქმე-
ვა. რელიგიურ განცდათ იქცევა ეს მოგონება მაშინ, რო-
დესაც ადამიანი ამასთანავე იგრძნობს, თუ მან რა დაჰ-
კარგა და სიდიადეს ამ დანაკლისის და იმ ტკბილ მოგონე-
ბასთან ერთად აღმოხდება გულიდან ოხვრა:

საბრალო დედავ! ჩქარა გაჰქრა ჩემი მაისი
და ბნელი ღამე, ოხ, რა ძნელი გასარღვევია!

მაგრამ ასეთი განცდაც რომ დღეს რომელიმეს ჰქონო-
და არის იგი პასიური და უილაჯო, როგორც მთელი ჩვენი
თაობა. რელიგიურ განცდას არ სწამს სიძნელე და რელი-
გიურად განწყობილი ადამიანი თვით უკუნეთშიაც ხედავს
ღვთის ნათელს, გინდაც სიბნელით გარემოცულს — და
ტორტმანით, ნელი ნაბიჯით, გინდაც რომ გზაში ფეხი
ათასჯერ დაუცურდეს, ან ქვას წამოჰკრას, მაინც ისწრა-
ფის და იშვერს ხელს ამ ნათლისაკენ, ისე როგორც, თუ

ვნებავთ, ახალ-ფეხამდგარი ბავში რომელიმე საგნისაკენ, რომელიც მას იზიდავს.

რელიგიური განცდა, როდესაც ადამიანი ერთის მხრივ საშინელ წუთებს, წუთებს მარტოობისას, განიცდის, როს მზე არ მზეობს იმისთვის, დარი არ დარობს დარულად და ამასთანავე მისი გულიდან აღმოხდება ჰიმნი გაუღენთილი ღვთისადმი სასოებით და წმიდა განგებაზედ სრულად დაყრდნობით.

ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის

შენგან კიდე,

შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვლიდე.
მტერთა ძლევა, ზღვაზედ ღელვა, ღამით მავნე გან-
მარიდე.

რელიგიური განცდა არის ჩახედვა თავის სულში, განცდა თავის საკუთარ არარაობის, ყოველგვარ სულიერის, ყოველგვარ შეუძლებლობის რისამის გაკეთების ან და მოქმედების და ღვთის მადლის განცდა, რომელიც ავსებს ჩვენ ამ სიცალიერეს, აშრობს უდაბნოს ჩვენში დაბანაკებულს, სპობს, ან უსპობს საშუალებას მტერს ჩვენში დაბინავებულს და აძლევს ადამიანს ძალას მოქმედებისას, სიბრძნეს და გამჭრიახობას, სიმდაბლეს და სიმტკიცეს, სიყვარულს მტრისადმისაც კი, შეგნებას და შეგმენებას თვისი მოყვასისა, ამაღლებს მას დღიურ, მხოლოდ მიწიერ მისწრაფებებიდან და აძლევს მას საშუალებას გარჩევისა: — რაა უკვდავი და რაა მომაკვდინებელი, წარმავალი და წარუვალი, საქმიდან, რომელიც ღირსია ბრძოლის ან მისწრაფების ან მსხვერპლის იმ საქმიდან, რომელიც ღირსი არაა არც ბრძოლის, არც მისწრაფების, არც მსხვერპლის გაწევისა.

აბათეოზს რელიგიური განცდა აღწევს წინასწარმეტყველის სიტყვებში: —

„დეე ვაჟკაცი დაეცნენ და ჰაბუკემა დაჰკარგონ ძა-
ლა, ისინი კი, ვინც ესვენ უფალს, შეიმოსებიან ახალი ძა-
ლით, არწივის მსგავსად გაშლიან თავიანთ ურთებს, და
მათ სიარულს არ დაემჩნევა დაღლილობა და მათ სიბრძნის
მტვერი“.

ესენი არიან სქემატიურად რელიგიურ განცდათა ტი-
პები, და თუ დღეს აქ, ამ წირვაზე რომელიმე თქვენგანს
ამგვარი ან რაიმე ამის მსგავსი განცდა ჰქონდა. შეოწმუ-
ნეთ არც დღეს დაჰკარგავს მადლი თავის გზას, და იესო
მაცხოვარი, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნისათვის და სრუ-
ვლისათვის მსხვერპლად შეიწირა, დაიბანაკებს და ინახ
იდგამს მასთან.

ჩვენ შევიკრიბებით დღეს აქ სალოცავად და ღვთისა-
გან დაწყებული საქმესათვის კურთხევის გამოსათხოვრად.
ჩვენი მიზანი კი ისაა, რომ ჩვენ მან მოგვცეს ძალა და
უნარი, რომ აქ, უცხოეთში შეგვეძლოს ჩვენ რელიგიური
ცენტრის შექმნა ყველა გარდმოხვეწილ ქართველთათვის
და ჩემი პირველი თხოვნა თქვენდამია: — ილოცეთ ამ
დიად მიზნის მისაღწევად; ილოცეთ, რომ ღმერთმან გარ-
დმოგზავნოს თავისი მადლი იმ ქართველთა გულში, ვი-
საც ეს საქმე ცივად სტოვებს, ვინც ამ მიზნით დაინტე-
რესებული არაა — აღაჭურვოს და აღაფრთოვანოს მთე-
ლი ემიგრაცია ამ საქმისათვის.. თვით ჩემი მოვალეობა
არის მძიმე და ძნელი და გთხოვთ, რომ ილოცოთ ჩემთვის,
რათა შემეძლოს მე ჩემი სუსტი ძალით ოდნავაც ამ მიზნის
მიღწევა, რათა მე შემეწიოს იგი,, როცა კაცობრივი წუ-
თები, ეჭვები და ბრძოლა შემიპყრავს, რათა მომცეს მე
სული სიყვარულისა, სული მოთმინების და ისეთი ენა,
რომ შემეძლოს თქვენში ცეცხლის ანთება, რომ ყოველი
მსხვერპლი, რომელსაც თქვენ გამოიღებთ, მსხვერპლად
კი არა, არამედ სრულიად ბუნებრივ და თავისთავად ცხად
მოვალეობად გეჩვენოთ.

ჩვენ ვართ მართლმადიდებელნი. მართლმადიდებელ რუსეთის ბატონობამ ჩვენში და ეკლესიის პოლიტიკურ იარაღად ხმარებამ, თვით ჩვენმა გადაგვარებამ და რელიგეურმა მოუვლელობამ, თითქმის ერთ საუკუნეზე მეტია, ჩვენში შეგჭება და სიყვარული მართლმადიდებლობისადმი დაასუსტა. ჩემი პირველი მოვალეობა არის და იქნება გითხრათ: — მართლმადიდებლობა იყო და არის უუდიდესი განძი, რომელიც ჩვენ ერს ოდესმე ჰქონია; ამ განძისათვის მსხვერპლად იწირებოდენ ჩვენი წინაპრები, არჩევდენ ყოველგვარ შეურაცყოფას და თვით სიკვდილს ფუფუნებას და თუ გნებავთ, პოლიტიკურ სარგებლობასაც. მართლმადიდებლობა არის თვით ღირებულება, — მხოლოდ და მხოლოდ ამისათვის ღირს ცხოვრება და სიკვდილიც.

ჩვენ ვართ წევრნი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის. ჩვენი ერი თუ არსებობს დღეს ან აქვს რაიმე გასავალი მსოფლიოში, უნდა პირველად ყოვლისა უმაღლიდეს ამას ჩვენს ეკლესიას. მაგრამ თუ ეს ყველაფერი უწინ იყო, დღესაც ეკლესია არაა მუზეუმი, მღვდელი არ არის დაგვიანებული მგზავრი საშუალო საუკუნეების. — ეკლესიამ თავისი დანიშნულება და როლი კი არ მოსჭამა დღეს, არამედ მისი როლის თამაშობა იწყება დღეიდან. იმ ხანაში, რომელშიც ყოველგვარი დიდი განძი ხურდავდება, რომელშიც ერს დაეკარგა უმთავრესი იდეალები და მიწას ჩასცქერის, როდესაც ყოველგვარი უზნეობა და უპატიოსნება სიწმიდის შარავანდედით იმოსება — მანქანა და ქარხანა და თვით სიმწვერვალემდე მიღწეული ბრძოლა არსებობისათვის — ადამიანში ადამიანობასა ჰკლავს და სპობს, დაქსაქსულ-დათნეულ პარტიებად დაყოფილ, ჩვენი ერის ხსნა და გამოსავალი არ სჩანს, — ყველაფერი გარეგნობით იმეცნება და შინაგან სულიერ საუნჯეთ, იმ საუნჯეთ, რომელნიც ადამიანს აფაქიზებენ,

ასპეტაკებენ, ამაღლებენ და ღვთაებას უახლოვებენ —
ყოველგვარი ფასი და ღირსება დაეკარგათ. სწორედ მო-
ვალეობაა დღეს ეკლესიის მედგრად თავისი ხმის ამაღლე-
ბა და ჩემი მოვალეობაც იქნება გითხრათ: — ჩვენ ეკლე-
სიას აქვს მომავალი, უკეთ, ჩვენ უნდა მივცეთ მას მომა-
ვალი, თუ გვსურს მომავალი ჩვენი ერის და არსებობა;
იგი არაა მუზეუმი და მე ისე ნუ ჩამთვლით, როგორც მუ-
ზეუმის ობიექტს, არამედ როგორც მეზობულს, რომელიც
ექვს მეზობლებს თქვენი წრიდან — ღვთის მილიციას
ჩვენი ეკლესიისათვის მომავალის შესაქმნელად. ✓

თუმცა მოვალეობა ძნელია, მაგრამ მაინც შეიძლება
უკეთესი პოზიცია მეკავოს მე თვით აქ, ვიდრე სხვა რო-
მელიმე მღვდელს. ჩვენ ყველამ დავკარგეთ სამშობლო და
ვართ გამორიყულნი უცხოეთში ბაბილონის ნაპირზე და
ტყვეობაში. უკვე ათი წელიწადია ვცხოვრობთ ჩვენ აქ.
ბევრი განვიცადეთ და გამოვიარეთ, ავიტანეთ და გვაქვს
კიდევ ასატანი. ვიტანჯეთ და მომავალიც შეიძლება მხო-
ლოდ ტანჯვებს გვინგბათებს. ჩემთვის ადვილი იქნება და
თქვენთვისაც ადვილად მისახვედრი, როს გეტყვით: —

1) უმთავრესი ტანჯვა იმაში კი არაა, იყო გამორიყული
სამშობლოდან — ეს არაა, ბატონებო, უდიდესი ღვთის
სასჯელი, არამედ ის: — იყო გამორიყული ადამიანურ
ღირსებიდან და პატიოსნებიდან.

ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი — მშობლებიდან ნამ-
მკვიდრი, ადვილად მოგებული, თუ ჩვენი ოფლით მონა-
პოვარი. ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი და მე მგონია თქვენ
მიხვდებით, როდესაც გეტყვით — ყველაფერი ამ ქვეყ-
ნად წარმავალია, ყველაფერი ჰქრება, ყველაფერს თავი-
სი ფასი აქვს, იყიდება ან გაიყიდება. ერთია განძი, რომე-
ლსაც ფასი არა დაეძება და უკვდავია იგი, რომლისთვი-
საც თვით ღვთის ძემ ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ
თვისი სიცოცხლე არ დაიშურა: ესაა ღირსება ადამიანის

და უკვდავება ადამიანის სულის. ამ სულს. სულს ანგე-
ლოსთა უსპეტაკეს უნდა ვემსახუროთ აქ, რომ იგი დავიფა-
როთ უმწიკვლოდ და უბიწოდ უცხოეთში ათასგვარ გა-
ნსაცდელიდან.

და ბოლოს ამ ათი წლის განმავლობაში ცხოვრებამ სხვა
ერთა შორის ჩვენ დაგვანახა ჩვენი საკუთარი საუნჯე —
სპეციფიური ქართული, შექმნილი ათას თაობათა მიერ
ჩვენში — ჩვენი ქართული სული. ისიც ვნახეთ, რომ უც-
ხოეთისათვის ეს ჩვენი საკუთარი არავითარ ინტერესს იწ-
ვევს; მათ აინტერესებთ ჩვენი ქვეყანა, როგორც მდიდა-
რი ბუნებით და განძეულობით, და იმდენად პატივს გვცე-
მენ, რამდენადაც ჩვენ გვაქვს შანსები შინ დაბრუნების,
რომ მათ მივცეთ ჩვენ საშუალება ჩვენში განძთა და მა-
დანთა ექსპლოატაციისა; ჩვენი საკუთარი სული კი არის
უკეთილშობილესი და უძვირფასესი ყოველგვარ მადან-
თა და საუნჯეთა, და ეს სულია, ბატონებო, ჩვენი ეკლე-
სია. თუ გვაქვს რაიმე ეროვნული თავმოყვარეობა, ნუ გა-
ხდით ჩვენს სულს რომელიმე უცხოელის დახმარებისაგან
დამოკიდებულად, არამედ თქვენ თვითონ მოუარეთ ამას.
ჩვენ შეგვიძლია, თუ მოვკიდებთ ამას ხელს, თუ ყოველი
ქართველი ემიგრაციაში თავის წვლილს არ დაზოგავს, თუ
გვსურს არსებობა და ადამიანური არსებობა, თუ გვსურს
ჩვენი ელფერის შენახვა უცხოეთში, თუ გვსურს საფრან-
გეთის ან სხვა რომელიმე ერში არ გავითქვიფოთ, თუ
გვსურს, რომ ემიგრაციას რაიმე წარუვალე სამსახურის
გაწევა შეეძლოს ჩვენ სამშობლოსათვის და მის აქ არსე-
ბობას რაიმე მიზანი დაესახოს, — დაგვეხმარეთ ჩვენ აქ
ჩვენი საკუთარი სამლოცველოს შექმნაში. ნუ გააქართვე-
ლებთ ამ საკითხს — თუ ჩვენ ჩვენ საკუთარ თავს ვუშ-
ველით, ღმერთიც ჩვენ გვიშველის და დაგვეხმარება.

იესო ქრისტეს სახელით იქმნას ჩვენი დასაწყისი. მან
უპატრონა ჩვენ ერს და დაიფარა იგი მრავალ განსაცდე-

ლიდან. და დღესაც მისი მადლითა, წყალობითა და კაცთ-
მოყვარებით სუნთქავს ჩვენი ერი და ეკლესია, და მის
მადლს-წყალობას და კაცთ-მოყვარებას, ბატონებო. უნ-
და შევავედაროთ ჩვენი დაწყებული საქმე. კურთხევა უფ-
ლისა თქვენზედა მისითა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა
ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.
ამინ.

ბესარიონ ბაბაშვილის

გამოუქვეყნებელი ლექსი*)

ამა წლის 13—16—4 ოქტობრდში ყოფნა მომიხდა. ბო-
დღეანის სამკითხველოს ქართულ ხელნაწერებში პატ-
როლოგიურ თხზულებათა შესასწავლად. მუშაობის დროს
ხელში ჩამივარდა ერთი მხედრულად დაწერილი ხელნა-
წერი, 1835 წლით დათარიღებული მს. უორდროპ 6, გა-
დაწერილი ლუკა ისარლოვის მიერ 12 — 5-8 — 8 1-2,
138 გვერდი ყდაში. ეს ხელნაწერი შეუძენია უორდროპს
ზ. ჭიჭინაძესაგან ტფილისში 25—9 — 1894 წ. შესაძლე-
ბელია ეს ხელნაწერი გადასცეს ზ. ჭ.-ს ისარლოვის მემ-

*) სამწუხაროდ, ს. გორგაძის მიერ აღმოჩე-
ნილი და გამოცემული ბესიკის ავტოგრაფი და ლექსები
ხელთ არა მაქვს (იხ. ჩვენი მეცნიერება, № 1 (წელიწადი
მეორე) გვ. 27-30; ეს ცნობა ამოღებულია კეკელიძის
ქართული ლეტერატურის ისტ. ტ. 2. (ტფილისი, 1924 წ.
გვ. 481, შენიშ. 1).

კვიდრეებმა სხვა ქალაქებთან ერთად, ისარლოვის ლექსების გამოსაცემად (გამ. ზ. ჭ. ტფ. 1894 წ. 4. 153 გვ.), და შემდეგ ეს ხელნაწერი. რომლითაც ზ. ჭ.-ს ნაწილობრივ უსარგებლია, დარჩენილა მის ხელში და რამოდენიმე ხნის შემდეგ (მაგრამ იმავე წელს) შეუძენია მისგან უორდროპს. ეს ხელნაწერი მოკლედ აღწერილია უორდროპის ქართულ წიგნთა კატალოგში ქ-ნ ეკა ჩერქეზიშვილის მიერ.

შინაარსი: გვ. 6—47 ორ-სვეტად შეიცავს ლექსიკონს ს. სულხანის მიბაძვით (თუ პირდაპირ გადმოწერილია) შედგენილი; გვ. 48—129, 134—136 სუფთა ქალაქი; გვ. 130—133 ერთ სვეტად ლექსებს; ზოგ ლექსს აქვს ერთგვარი წარწერა, ზოგს. სამწუხაროდ, არა. ამ ლექსებს, რომელნიც მათი ენის მხრივ სხვა და სხვა ავტორებს უნდა ეკუთვნოდენ, შესაძლებელია მოუყარა თავი ბ. ლ. ი. როგორც ნიმუშებს თავისი მცირე შრომისათვის, რომელსაც ეწოდება: მოკლე კანონნი ქართულის პოეტიკისა ანუ ლექსთა თხზულებისანი (გამ. ჭ. მიერ გვ. 95—122). მართლაც, ხელნაწერში მოყვანილ ლექსებიდან ამ თხზულებაში ვხვდებით მხოლოდ ერთ ლექსს, სამ საღმობითა უფალმა ღმერთმა და სხვა (გვ. 105). ამ ლექსს ახასიათებს თვით ისარლოვი ესე: — ლექსის წყობილების გვარი თუმცა ჩახრუხაულია, დაწერილი წარსულ საუკუნეში, მარა შინაარსი მაჯამა არისო.

ამ ლექსებში სამმა ლექსმა მიიზიდა ჩემი ყურადღება, რომელთაგან ორი ეკუთვნის ბესიკს (ერთი უკვე ცნობილია) თვით მესამე, ჩემის აზრით, უნდა ბესიკს მივაკუთნოთ. ენა ამ ლექსის არის ბესიკის და თუმცა ამ ლექსის მოთავსება ბესიკის ლექსთა შორის მაინც და მაინც იმის დამამტკიცებელი არაა, რომ ეს ლექსიც უნდა, აუცილებლივ, ბესიკს მიეკუთვნოს, მაგრამ თვით ეს მოვლენაც აღსანიშნავია. ამას კიდევ შეგვიძლია დავუერთოთ ერთი გარემოება, რომელზედაც ამ მოკლე წერილის დასასრულს იქნება საუბარი.

1). 131 ბესარიონ რომ გააგდო ბატონმა რუსეთს წავიდა ბაქარ ბატონიშვილთან და ბალში (?) ღვთის მშობლის სურათს შესხმა უთხრა ექსპრომტით.

ჯერისებრი შესხმა შენი არვის ძალუძს ღვთისა სძალო
ჯუმლად შეკრბენ ქებად შენდა ანგელოზნი კაცნი ქალო
ხამს რომ გიძლ(ვ)ნან კონა მკასი (?) საკმელი გუნდრუკ
მური ალო

ჯვარცმულისა წმიდა დედავ ცოდვა მკურნე დედუფა-
ლო

ეს ლექსი გამოქვეყნებულია პირველად ზ. ჭიჭინაძის და შემდეგ ს. გორგაძის მიერ (ტფ. 1912, 234, 2). გვ. 170 ორი ხელნაწერის მიხედვით. მიუხედავად იმისა, ჩემი ზემოდ მოყვანილი ვერსია განსხვავდება გორგაძის ვერსიებიდან. 1. კონა მკასი-ს მაგირ შეიძლება უნდა იკითხებოდეს: კინამ-კასნი. კინამო — სუნნელი ყვავილია; კასია — დარიჩინი (გორგაძე 230).

2). 133 რ.

ამის ავი კაცი ვიყავ ტყვე არვის ვაყიდვინეო
შვიდი წლის ხმელი ქათამი ხეს შევსვი და ვაყივლეო
მწემსი (?) ვასუქე ვადიდე ჩიროს ქვეშ დავაძინეო
ოსმალს ქვეყნები წავართვი მათგან ხარაჯა ავილე
ამა საქმისა მომქმედმან ცხრა ადლი ტილო წავილე

დიდ სოლომონ მეფის საფლავზე დაწერილი.

თუმცა ამ მინაწერში არაა ნათქვამი, რომ ეს ეპიტაფია უნდა ბ. გაბაშვილს ეკუთვნოდეს, მაგრამ ის დიდი მეგობრობა, რომელიც ამ ორ პიროვნებათა შორის არსებობდა, შესაძლებლად ხდის ამგვარ მოსაზრებას. ცნობილია აქამდისინ სამი ეპიტაფია ბესიკის სოლომონ პირველ, იმერსაა მეფეზე (1752—1781); სამივე გამოცემულია ს. გორგაძის მიერ (გვ. 181)

3). ეს მესამე ლექსი უფრო გაცილებით ძლიერ მაინტერესებს და მსურს ამაზე სპეციალისტთა ყურადღება მივაქციო.

132 რ.

დამტკიცებულ ჰყოს ეს მარად მზერამან
საწუთოს ბრუნვანი თქმად არ ეგების
ვით ბნელ ჰყო დღე ჩემი განმყო მზე რა მან
ესრეთ მომნდოთ მისთა მახედ ეგების
ოდეს იწყოს ეტლმან (1) ვის და სადარად
ელვარე ჰყოფს კრთოლვით, სვიანთ სადარად
უშიშრად ვალს უნებ'ს ჰგონებს სად არად
მუნით წვიმა ჰება წინა ეგების
სოფლის შვება ცხადი გინა იგავი
დასასრულ განსჭრიტო არის იგი ავი
თუმცა მისნი ნივთნი სრულად იგავი
უცილოდ განქარდეს ბოლოდ ეგების
სვე ბედი ვით ორთქლი, დამი (2) წამისა
განაქროს სოფელმან და მიწამ ისა
მას სიცრუედ იგ ვერ დამიწამისა
ამიერ უმკვიდროდ ვინაცა ეგების
საცთურთა მანაფთ ჰსწნა მან გალია
მით განხრწნა სიცოცხლე და მან გალია
მუხთლობით ლესული ჰსდვა მანგალია
იავარ ჰყო ვანი (3) სადლა ეგების
წარმდგეს რა ჰაზრთა შინა ის ერი
ეტყვის გლახ გულს ოდეს მათთან ისერი
აწ ნაცვლად შვებისა საკუდად ისერი
მით გული უმეტეს ლახვარს ეგების
ვის მკეთრი უბნობა და თქმა ახს ენით
მოწმეთ უბრძანეთ და უხუცესთ ახსენით
სოფლით განაწირი სავნად ახ-სენით

ჰგრძნობა ამას ყოველ ავლად ეგების
ლტოლვისა სამოსი ვინცა იცონა
გულისთქმა ბაგითურთ მტკიცედ იცონა
მარად ცრემლით ლოცვა არა იცონა
არ შთავარდეს საფრხესა მას ეგებ ის
ვის გასურს სოფლით იქმნა არა დაგული
საღმრთოს სიბრძნეს მიეც გონი და გული
ბოროტისთვის გრძნობა მტკიცედ დაგული
ნეტარება ესრეთ მყოფთა ეგების
„ესრეთ იქმს საწუთრო ბევრ სახედ ავით
„ფრიად მის მკაცრ ჯვრეტა ხამს სახედავით
„რეცა მაგალით ჰყო სახე დავით
„მით განერო სოფლით საცთურო ეგების“

1. ბედი. ბედისწერა. 2. ორთქლი. 3. ბინა, სადგური.

ეს ლექსი შეუძლებელია იყოს თვით ისარლოვის, რა მელიც ცოტა თუ ბევრად ნიჭიერ ლექსებს სწერდა, ის ამ ლექსს თავის საკუთარ ლექსთა კრებულში შეიტანდა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნად. მთელი ამ ლექსის კომპოზიცია, ენა, შინაარსი არც ერთ ისარლოვის ლექსს არ უდგება. თუმცა მე ქართულ საერო ლიტერატურის დარგში არ ვმუშაობ და ამის გამო ჩემს აზრს ისეთი მნიშვნელობა არ ექნება, როგორც ამ დარგში მომუშავე სპეციალისტისას. მაგრამ ჩემის აზრით ეს ლექსი უნდა ეკუთვნოდეს ბესიკს.

თუ ჩვენ ბესიკის ცხოვრებას ერთი მხრივ და მეორე, თვით ისარლოვის ოჯახის მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მგონია, შეიძლებოდა (მხოლოდ ამით რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ მაინც) ამგვარ დებულების დასაბუთება.

როგორც ვიცით, ბესიკი (1750—1791 იანში) ანა ბა-

ტონიშვილის სიყვარულის გამო ტფილისში, ირაკლი მეფის მიერ გაძევებული. მირბის იმერეთში 1779 წ. მეფე სოლომონ პირველთან, რომელიც მას კარგად იღებს; 1781 წ., როს სოლომონ პირველი გარდაიცვალა, ბესიკი სწერს ეპიტაფიებს. შემდეგ დავით მეფესთან მდივნობს და იგზავნება მისგანვე რუსეთს დესპანად (1790 წ. თარიღები ამოღებულია ს. გორგაძის გამოკვლევებიდან). გარდაიცვალა იასსში.

ლ. ისარლოვის (1814—1893) ოჯახი იყო ძლიერ დაახლოვებული იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან. როდესაც 1810 წ. რუსებმა იმერეთი აიღეს და სოლომონ მეფე ტფილისში მოიყვანეს—ო სწერს ჭიჭინაძე (იხ. ლექსთა გამოც. გვ. 2), სოლომონ მეფემ მაშინათვე ისარლიშვილები იკითხა და დიდი დედა ლუკა ისარლოვისა. მეფის თხოვნა მალე აღასრულეს და ისარლიშვილები მივიდნენ მეფესთან. მეფეს ისარლიშვილის ბებია უკეთებდა საჭმელს და ყოველდღე მიართმევდა სადილად. მეფე დიდი პაცივისმცემელი იყო ამ მანდილოსანისა. მეფე მას არას უმაღავდა, ასე დაახლოვებულნი ყოფილან ისარლოვის მშობლები მეფესთანა—ო.

თუმცა ჩვენი თანამედროვე მეცნიერები ბ. ზ. ჭიჭინაძეს ბევრ რამეს არ უჯერებენ, მაგრამ ეს ცნობა ჭიჭინაძისა, უნდა იყოს მაინც დამაჯერებელი. ეს გაგონილი ექნება თვით ოჯახში.

და თუ ეს ასეა, შესაძლებელია, მეფე სოლომონს ჰქონდა თან იმერეთიდან ჩამოტანილი კრებული ბესიკის ლექსებისა; იმერეთის სამეფო კარზე ბესიკს დიდ პატივსაცემდნენ, და იქ მას თავადობაც კი ებოძა. ეს კრებული ისარლიშვილიანთ ოჯახს ალბად ხელში ჩაუვარდა და რამოდენიმე ლექსი გადაიწერეს. შემდეგ შეიძლება თვით ლ. ისარლოვმა თავის 1835 წ. გადაწერილ რვეულში, რომელიც ამ ჟამად ოქსფორდში ინახება, გადაიწერა.

გრ. ფერაძე

„ჯვარი ვაჟისა“

ემსახურება ემიგრაციაში საეკლესიო ტენტრის მოწყობას და ქართველთა შორის უცხოეთში რელიგიურ - ზნეობრივ გრძნობათა გაღრმავებას. გარდა ამისა ეცდება შეძლების და გვარად ყოველ ნომერში მოათავსოს რაიმე მცირე გამოკვლევა ჩვენი წარსული ცხოვრებიდან.

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი მეგობრების მისამართი და გაავრცელოთ ჩვენი ჟურნალი ემიგრაციაში.

ვინც პირველი ნომერის ღირებულებას არ გამოგზავნის (უცხოეთში ექვსი ფრანკი) მას მეორე ნომერი არ გაეგზავნება.

ჟურნალში იღებენ უახლოეს მონაწილეობას ბბ. ზ. ავალიშვილი, ილ. დადეშკელიანი, პრ. ექვთიმე თაყაიშვილი, პრ. მიხ. წერეთელი და სხვანი.

წმიდა ნინოს

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის

ანუ მკავლის

(1901 წ. მკათათვის 1-სა და 1905 წ. ქრისტეშობისთვის
9-ს კანონების შესაფერი სარწმუნოებრივი საზოგადოება)

წესდება

მიღებული 1929 წ. მკათათვის 21-ს (მკათათვის 8-ს
ძველი სტილით) განცხადებული პოლიციის პრეფექტუ-
რაში 1929 წ. მარამობისთვის 23-ს , კანონიერად გამო-
ცხადებული „ოფიციალურ ჟურნალში“ მარამობისთვის
28-ს და დამტკიცებული თიატრის მიტროპოლიტის,
მსოფლიო პატრიარქატის დასავლეთ და ჩრდილოეთ ევ-
როპის ექსარხოსის მიერ 1928 წ. ენკენისთვის 17-ს.

სახელითა მამისათა და
ძისათა და სულისა წმიდისათა :

ქვემოთ ხელისმომწერნი, წევრნი მართლმადიდებელ,
კათოლიკ, სამოციქულო, ბერძნულ, წმიდა, აღმოსავლე-
თის ეკლესიისა, საფრანგეთში მობინადრე შვილნი საქა-
რთველოს (ივერიის) მართლმადიდებელ ეკლესიისა,

სულთა ხსნასა, მეუფებისა მოახლოვებას, ძისა ღვთისასა, თვითონ ღმერთისა, მაცხოვრისა მათისა იესო ქრისტესი გამარჯვებას და ქართველ მართლმადიდებელთათვის, რომელნიც საფრანგეთში იმყოფებიან ან აწ მოვლენ, მამათა მათთა რჯულის მათ დედა-ენაზე სადიდებლად საშუალების მოპოვებას ძალთა შეწირვას მოწადინებულნი,

უწინარეს ყოვლისა მადლობას აღავლენ უფალსა, რომელმან აღმოუჩინა ქართულ ეკლესიას შეწევნა და ნუგეში მის დევნათა, მის წვალებათა და მის განსაცდელთა შინა

ღალადებენ თავიანთ სიყვარულსა და ერთგულებას იესო ქრისტეს, ეკლესიის ღვთაებრივ მეუფის მიმართ,

მოუწოდებენ მფარველობასა და შუამდგომლობას ყოვლად წმიდა მღვთისი მშობლისა, საქართველოს მფარველისა, წმ. ნინოსი და ქართულ ეკლესიის ყველა წმიდა წამებულთა, მონანულთა და მამათა,

ევედრებიან მოწყალე უფალსა, რათა აკურთხოს ძალნი მათნი,

აცხადებენ, რომ არიან მართლმადიდებელნი, არიან და დარჩებიან ქრისტეს რჯულის და მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმის ერთგულნი და რომ ინახავენ და მუდამ შეინახავენ მის საიდუმლოებათა წესს და მის სწავლას,

და ემყარებიან რა მის ყოვლად უწმინდესობის მსოფლიო პატრიარქის ვასილ მესამის, თიატირის მიტროპოლიტის მიმართ 1929 წლის აპრილის 29-ს ეპისტოლეს. ადგენენ ქართულ მართლმადიდებელ საზოგადოების შემდეგ წესდებას: —

მ უ ხ ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

არსდება, 1901 წლის ივლისის 1-ს და 1905 წლის დეკემბრის 9-ს კანონების დებულებათა თანახმად, სარწმუნოებრივი სამრევლო საზოგადოება, რომლის დანიშნულებაც მართლმადიდებელ ღვთის მსახურების დაცვა და განვითარება და მისი ქართულ ენაზე აღსრულება. მას შეადგენენ ქვემოდ ხელმომწერნი და ისინი, ვინც მომავალში გახდებიან მისი წევრნი. მისი სახელწოდებაა: „წმიდა ნინოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია“ ანუ „მრევლი“.

საზოგადოების საასპარეზოს შეადგენს პარიზი თავისი გარეუბნებით და, დროებით, ვიდრე სხვა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დაარსდებოდეს საფრანგეთში, — და მისი კოლონიები.

საზოგადოების დროებითი ბინა არის პარიზში, 4, რეკამიეს ქუჩა (7). სამრევლო საბჭოს დადგენილებით ეს დროებითი ბინა შეიძლება სხვა ადგილს იყოს გადატანილ. სასაბოლოოდ კი იგი მოთავსებული იქნება წმიდა ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის შენობაში, როდესაც ეს უკანასკნელი აგებული იქნება. საზოგადოება შესდგება არა ნაკლებ 25-ს მის საასპარეზოზე მცხოვრებ ან მობინადრე სრულწლოვან წევრისაგან.

მ უ ხ ლ ი მ ე ო რ ე

საზოგადოების საგანს შეადგენს:

ა) ქართულ ენაზე მართლმადიდებელ ღვთისმსახურების უზრუნველყოფა

ბ) სავსებით ან ნაწილობრივ იმ ხარჯებისა და საჭიროებათა გაძღოლა, რომელსაც მოითხოვს ეს ღვთისმსახურება და მასთან დაკავშირებული სხვა-და-სხვა საქმე, როგორც: ღვთისმსახურებისათვის და სამღვდელოების ბინებისათვის საჭირო უძრავისა და მოძრავის შეძენა, აშენება და შენახვა; საეკლესიო შენობებში ბავშებისათვის სამღვთო სჯულის სწავლება; მომავალ მღვდელთა და დიაკვანთა მომზადება; სამღვდელო პირთათვის ჯამაგირის საბინო ფულის, დახმარების და პენსიის ძლევა; საეკლესიო გალობა და ხელოვნება; ზნეობრივი და ქონებრივი დახმარება და სარწმუნოებრივი პროპაგანდა.

ბ) სულიერ და სარწმუნოებრივ ცხოვრების განვითარება.

ყოველივე პოლიტიკური მოქმედება და კამათი სრულიად აკრძალულია საზოგადოებაში.

მართლმადიდებელ ეკლესიის კანონიკურ ძირითად დებულებათა და განსაკუთრებით მეოთხე მსოფლიო კრების (ქალკედონის) 28-ვე კანონის თანახმად, წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ემორჩილება მის ყოველად უწმინდ. მსოფლიო პატრიარქის, მართლმადიდებელ ეკლესიის პრიმატის (უხუცესის) კანონიკურ იურისდიქციას და მის მფარველობის ქვეშ იმყოფება, — და ვინაიდან მსოფლიოს საპატრიარქოს ეკზარხოსი დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპისათვის არის თიატირის მიტროპოლიტი, თიატირის მართლმადიდებელ ეკლესიაში შედის. იმავე დროს, ვითარცა საქართველოს (ივერიის) მართლმადიდებელ ეკლესიის სულიერი ნაყოფია, წმ. ნინოს მართლმადიდებელი ეკლესია მუდმივ სულიერ კავშირს შეინახავს საქართველოს ეკლესიასთან და მის მთავართან — სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქთან.

წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიისადმი

თიატირის მიტროპოლიტს ეკუთვნის მთელი ის სულიერი ძალა-უფლება, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია ანიჭებს ეპისკოპოსს მის ეპარქიაში.

სულიერ მთავართათვის ლოცვის დროს წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მოიხსენიებს თიატირის მიტროპოლიტის სახელს.

საზოგადოების წევრთათვის

(მრევლი ამომრჩეველი)

მ უ ხ ლ ი მ ე ს ა მ ე

საზოგადოების წევრებს ეწოდებათ მრევლი—ამომრჩეველები.

საზოგადოების წევრი (მრევლი ამომრჩეველი) შეუძლია გახდეს, ვინც შემდეგ პირობებს უდგება:

- ა) იყოს მართლმადიდებელი,
- ბ) შესრულებული ჰქონდეს 21 წელი,
- გ) სცხოვრობდეს ან ბინადრობდეს მრევლის საასპარეზოზე,
- დ) თუ ჯვარდაწერილია, ქორწინების მართლმადიდებელი კურთხევა ჰქონდეს მიღებული და თავის შვილებს მართლმადიდებელ რჯულზე ზრდიდეს, განსაკუთრებულ შემთხვევებს გარდა, რომელთაც განსჯის მოძღვარი, წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მოძღვარი მღვდელი.

ე) არა ნაკლებ სულ ცოტა ექვსი თვის მობინადრე მრევლი იყოს (გარდა იმ განსაკუთრებულ შემთხვევებისა, რომელთაც განსჯის საბჭო).

ვ) სამრევლო საბჭოს მიერ იყოს მიღებული. მიღება შეუძლებელია, თუ საბჭოს ორი წევრი (რამდენიც უნდა იყოს წევრთა რიცხვი) საკითხის გარჩევის დროს წინააღმდეგი გახდება მიღებისა.

ზ) წირვა-ლოცვას ესწრებოდეს; აღსარებას ივლიდეს და ეზიარებოდეს წელიწადში ერთხელ მაინც, თუ ეკლესიის მოძღვარ-მღვდლის მიერ შეწყნარებულ მძიმე რამ მიზეზებს არ დაუბრკოლებია.

ი) იხდიდეს ამა წესდების დებულებათა თანახმად საზოგადო კრების მიერ დაწესებულ წლიურ გადასახადს, — ყოველი წევრი გულით უნდა იყოს მონდომებული თავის ეკლესიის განკარგულებაში გადასდოს თავისი წმინდა შემოსავლის (ჯამაგირის, გასამრჯელოსი, ყოველგვარ მოგებისა, რენტისა და სხვა არა ნაკლებ ერთის ან ორის პროცენტისა) თავის ქონებისა და ოჯახობრივ მდგომარეობის და მიხედვით.

კ) იზიარებდეს ამა წესდებას და თავის ვალად რაცხდეს მის დაცვას; გულით შეიყვარებდეს წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიას და უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, მის ღვთაებრივ მეთაურს, ჩვენთვის ჯვარცმულს და მკვდრეთით აღმდგარს და უნდოდეს, ღვთისა შეწევნით, სახარებისა და ეკლესიის თანახმად ცხოვრება.

ქალები მიიღებიან იმავე პირობებში და იმავე უფლებებით, როგორც კაცები.

შემოღებულ უნდა იქნას საზოგადოების წევრთა (მრევლ ამომრჩეველთა) ცალკე სია.

საზოგადოების ყოველი წევრი (მრევლი ამომრჩეველი) რომელიც ცხადათ თუ ფარულად სხვა, არა მართლმადიდებელ ეკლესიის, რჯულს ან დოგმას მიიღებს ან შეეცდება თავის თანამორწმუნეთა სხვა, არა მართლმადიდებელ ეკლესიის, რჯულისა ან სარწმუნოებისაკენ გადაბირვას, განრიცხულ იქნება საზოგადოებიდან, ვერც ერთ მის ორგანოში ვერ დარჩება. სამრევლო საბჭო არ საჭიროებს არავითარ მსჯელობას ამის შესახებ, რადგან საბჭო მოვალეა მოახდინოს განრიცხვა თვით ამ მუხლის ძალით.

მოზინადრე და არა-მოზინადრე მრევლისათვის

მ უ ხ ლ ი მ ე ო თ ხ ე

მოზინადრე მრევლად ყოფნის მსურველი უნდა უდგებოდეს შემდეგ პირობებს:

ა) იყოს მართლმადიდებელი.

ბ) სცხოვრობდეს ან ბინადრობდეს მრევლის სააპარატურაში.

გ) აღძრას სამრევლო საბჭოს წინაშე სიაში შეტანის თხოვნა.

დ) იხადოს სამრევლო საბჭოს მიერ დაწესებული წლიური გადასახადი, — ყოველი წევრი, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, გულით უნდა იყოს მონდომებული გადასდოს თავის ეკლესიის განკარგულებაში შემოსავლის (ჯამაგირის, გასამრჯელოსი, ყოველგვარ მოგების, რენტის და სხვა) არა ნაკლებ ერთის ან ორის პროცენტისა, თავის ქონებისა და ოჯახობრივ მდგომარეობის მიხედვით.

ქალები მიიღებიან იმავე პირობებში და იმავე უფლებებით როგორც კაცები.

ყოველი მოზინადრე თუ არა მოზინადრე მრევლი, რომელიც ცხადათ თუ ფარულად სხვა, არა მართლმადიდებელ ეკლესიის, რჯულს ან სარწმუნოებას მიიღებს ან შეეცდება თავის თანამორწმუნეთა სხვა, არა მართლმადიდებელ ეკლესიის, რჯულსა ან დოგმისაკენ გადაბირვას, ამოშლილ იქნება უსიტყვოდ მოზინადრე და არა მოზინადრე მრევლის სიიღვან.

მ უ ხ ლ ი მ ე ე ქ ვ ს ე

საზოგადოების ყოველი წევრი (მრევლი—ამომრჩეველი) თუ მობინადრე და არა-მობინადრე მრევლი, შეიძლება ამორიცხულ იქნას იმ სიიდეგან, რომელშიაც შეტანილია, იმ მოვალეობათა აუსრულებლობისათვის, რომელიც მათდა შესაფერისად გამომდინარეობს ამა წესდებიდან. გარიცხვისათვის საჭიროა ფარული კენჭის ყრით გამოტანილი სამრევლო საბჭოს ხმათა ორის მესამედის უმეტესობის დადგენილება. დაინტერესებულს წინასწარ უნდა მოეთხოვოს განმარტების წარდგენა.

მ უ ხ ლ ი მ ე შ ვ ი დ ე

საზოგადოების ყოველ წევრს (მრევლი—ამომრჩეველი) თუ მობინადრე და არა მობინადრე მრევლს, უფლება აქვს მრევლს თავი გაანებოს, როდესაც კი მოისურვებს, ოღონდ უნდა გადიხადოს ყველა ვადა-გასული და მიმდინარე წლის გადასახადი.

საზოგადოების ყოველი წევრი (მრევლი—ამომრჩეველი) თუ მობინადრე და არა მობინადრე მრევლი, რომელსაც ორი წლის განმავლობაში არ შეუტანია თავისი წვლილი, მიჩნეულ იქნება როგორც გასვლის მოსურნე და ამოშლილი შესაფერ სიიდეგან.

სამრევლო საბჭოსათვის.

მ უ ხ ლ ი მ ე რ ვ ე

საზოგადოებას მართავს სამრევლო საბჭო.
სამრევლო საბჭო შესდგება წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მოძღვარ-მღვდლისაგან, რომელიც

საბჭოს კანონიერი თავჯდომარეა და საზოგადო კრების მიერ არჩეულ საერო წევრთა განსაზღვრულ რიცხვისაგან. უფლება აქვთ არჩეულ იქნან სამრევლო საბჭოში საზოგადოების წევრთ მამაკაცებს (მრევლი-ამომრჩეველი). საბჭოს საერო წევრთა რიცხვს განსაზღვრავს საზოგადო კრება. ეს რიცხვი მაინ-და-მაინც 4-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამრევლო საბჭოს წევრთა არჩევისათანავე უნდა არჩეულ იქნან კანდიდატები, რომელთა რიცხვი განსაზღვრულ უნდა იყოს აგრეთვე საზოგადო კრების მიერ და არა ნაკლები 2-სა. კანდიდატები სამრევლო საბჭოს წევრებად ხდებიან საბჭოს ერთის ან რამდენიმე წევრის გასვლის ან სიკვდილის შემთხვევაში.

მ უ ხ ლ ი . მ ე ც ხ რ ე

სამრევლო საბჭოს არჩევანი ფარულის კენჭის ყრით ხდება,

ა) თუ ასეთია სამრევლო საბჭოს დადგენილება ან

ბ) თუ ასეთი სურვილი განაცხადა დამსწრე მრევლ-ამომრჩეველთაგანმა, ერთმა მაინც.

საბჭო ორის წლით ირჩევა. შეიძლება ხელახლად არჩევა იმ წევრებისა, რომელთაც ვადა გაუდით.

არჩეულად ითვლება ვინც პირველ კენჭის ჩამოტარებაზე აბსოლუტ ხმის უმეტესობას მიიღებს და შედარებითს უმეტესობას მეორე კენჭის ჩამოტარებაზე.

საბჭოს არჩევანის დამთავრებისათანავე იგი თავის წევრთ შორის ირჩევს ორის წლით სამრევლოს მთავარ მდივანს და სამრევლოს მოლარეს; ორივენი კაცები უნდა იყვნენ.

მ უ ხ ლ ი მ ე ა თ ე

თუ საბჭოს მოაკლდა მის წევრთა ერთი მესამედი, მოწვეულ უნდა იქნას საზოგადო კრება დამატებით არჩევნებისათვის.

ახლად არჩეულნი თავიანთ თანამდებობას ასრულებენ იმ ვადის გასვლამდე, რომელიც დანიშნული ჰქონდათ მათ წინამოადგილეთ.

იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს ყველა საერო წევრი ერთად სტოვებს თანამდებობას, მოწვეულ უნდა იქნას საზოგადო კრება ახალი საბჭოს ასარჩევად ორის წლის ვადით.

მ უ ხ ლ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

სამრევლო საბჭოს კანონიერი თავჯდომარეა მოძღვარი, წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მოძღვარი-მღვდელი.

იმ შემთხვევისათვის, როცა მოძღვარი გარეგნობს, საბჭო ნიშნავს ერთს თავის წევრს თავჯდომარის თანამდებობის დროებით ასასრულებლად.

თავჯდომარე იწვევს საბჭოს სხდომებს; დაბარების ბარათები დარიგებულ უნდა იყოს სამის დღის წინად მაინც სხდომის მოწვევა სავალდებულოა, თუ ამას მოითხოვს თავჯდომარისაგან საბჭოს ორი წევრი.

საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიღებიან დამსწრე წევრთა ხმის უმეტესობით. თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავჯდომარის ხმა სწყვეტს საკითხს.

საბჭოს სხდომის კანონიერებისათვის აუცილებელია საბჭოს წევრთა ნახევარის და კიდე ერთის ზედმეტ წევრის დასწრება. თუ სხდომა ვერ შესდგა და მეორედ მოსაწვევი გახდა, სხდომის კანონიერობისათვის საკმარისია სამის წევრის დასწრება, რამდენის წევრისაგანაც შესდგებოდეს საბჭო.

მუხლი მეორე

სამრევლო საბჭოს განსაკუთრებული სახელისუფლებოა: ყველა ადმინისტრაციულ და საფინანსო დარგის საკითხები; მოძღვრის თანამდებობაზე კანდიდატის ან კანდიდატების დასახელება მსოფლიო პატრიარქატის ექზარქოსის, თიატირის მიტროპოლიტისათვის დასამტკიცებლად ან ამოსარჩევად, წარსადგენად; დასახელება აგრეთვე წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის კრებულში მისაღებ ყოველ სხვა მღვდლისა ან დიაკვნისა (ამათი საბოლოო დამტკიცებაც თიატირის მიტროპოლიტს ეკუთვნის); მიღება საზოგადოების ახალ წევრთა (მრევლი ამომრჩეველი); სიაში შეტანა მობინადრე და არა-მობინადრე მრევლისა და მათი, ამ წესდების დებულებათა თანახმად, გაძევება და ამორიცხვა.

სამრევლო საბჭოს ეკუთვნის საზოგადოების საქმეების და ქონების მმართველისა და მესამე პირთა წინაშე და სამოქალაქო ცხოვრების ყველა მოქმედებაში საზოგადოების სახელით გამოსვლა. სამრევლო საბჭოს განსაკუთრებით ეკუთვნის შემდეგი უფლებები, — მათ აქ ჩამოთვლას განმარტების და არა ამოწურვის მნიშვნელობა აქვს; — ქირაობს და უვლის საეკლესიო შენობებს, განსაზღვრავს გამგეობის საზოგადო ხარჯებს; კრებს საწევრო ფულს და სხვა და სხვა გადასახადს, იყენებს თავისუფალ ფულს კანონში ნაჩვენებ სათადარიგო თანხებისათვის, საზოგადოებას წარმოადგენს სასამართლოების წინაშე როგორც მომჩივანის, ისე მოპასუხის სახით, ხურავს წლიურ ანგარიშებს, ადგენს უძრავ და მოძრავ ქონებათა ნუსხას 1905 წლის ქრისტეშობისთვის 9-ს კანონის 21 მუხლის მოთხოვნის თანახმად; ბჭობს და გამოაქვს დადგენილებანი საზოგადო კრებისათვის წარსადგენ წინადადებათა შესახებ და ადგენს ამ უკანასკნელისათვის წესს-რიგს; იწ-

ვევს საზოგადო კრებებს. ხოლო არ აქვს სესხის აღების, საზოგადოების უძრავის დაგირავების, მოძრავ და მოძრავ და უძრავ ქონების ყიდვის, გაყიდვის და გაცემის უფლება საზოგადო კრების ნებადაურთველად, რომელსაც უნდა შეეკითხოს ამ საგნის შესახებ.

არც სამრევლო საბჭოს, არც საზოგადო კრებას არ შეუძლიათ არავითარ შემთხვევაში და არავითარი საბაბით გამოიტანონ რაიმე დადგენილება იმ საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება მართლმადიდებელ რჯულს, დოღმატს ან ზნეობას, სარწმუნოებრივ წესსა და დისციპლინას, ვინაიდან ეს საგნები ეკუთვნიან მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო ხელისუფლებას, სახელდობრ ეკლესიის მოძღვარ მღვდელს და ეპისკოპოსს (სახელდობრ მსოფლიო პატრიარქატის ექზარხოსს, თიატირის მიტროპოლიტს); ყოველთვის, როგორც კი წამოიჭრება ამგვარი საკითხი, რომელიც აღემატება მოძღვარ-მღვდლის ხელისუფლებას, თიატირის მიტროპოლიტს უნდა წარედგინოს საბოლოო მსჯავრის დასადებად.

მ უ ხ ლ ი მ ე ც ა მ ე ტ ე

სამრევლო საბჭო ადგენს საზოგადოების ხარჯთაღრიცხვას და წარუდგენს ამა წესდების დებულებათა თანახმად საზოგადო კრებას დასამტკიცებლად; საბჭო აგროვებს თანხებს მისგანვე შემუშავებულის წესით და საშუალებით. საბჭო თვითონვე განსაზღვრავს მსოფლიო პატრიარქატისათვის და სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქისთვის მისართმევ შეწირულებათა რაოდენობას.

საფინანსო წელიწადი თავდება ყოველ წლის 31 დეკემბერს.

მ უ ხ ლ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

მთავარი მდივანი (ან ყოველი სხვა სამრევლო საბჭოს მიერ საგანგებოდა არჩეული წევრი) წარმოადგენს საზოგადოებებს საბუთებს და, საბჭოს მიერ საგანგებო განხილვის შემდეგ, ხელს აწერს ნოტარიულ საბუთებს. მასვე ევალება კანონებსა და რეგლამენტებში ნაჩვენებ ყოველწლიურ ადმინისტრაციულ ფორმალობის შესრულება.

სამრევლო საბჭოს თავჯდომარე მოძღვარი-მღვდელი, მთავარი მდივანი და მოლარე უზრუნველყოფენ, თვითეული თავის დარგში (ორი უკანასკნელი ყოველთვის პირველთან შეთანხმებით) საბჭოს დადგენილებათა სისრულეში მოყვანას.

მ უ ხ ლ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე

საზოგადოების ვალდებულებათათვის პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოების ქონება. პირადათ საბჭოს არც ერთი წევრი არ არის პასუხისმგებელი.

ღვთის მსახურებისათვის, წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მოძღვარ-მღვდლის და ყველა სხვა მღვდელ-დიაკვნისათვის, რომელნიც ამ ეკლესიის კრებულის წევრნი გახდებიან.

მ უ ხ ლ ი მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე

ამა წესდების შესავალის და 1 და 2 მუხლების დებულებათა თანახმად, წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არის და მუდამ დარჩება მართლმადიდებელი და ქართული.

მის კრებულის წევრთა მიერ ამ ეკლესიაში თუ სადაც უნდა იყოს სხვაგან შესრულებული ღვთის მსახურება არის და მუდამ იქნება მართლმადიდებელი ღვთისმსახურება. არც წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, არც მისის კრებულის არც ერთ წევრს არავითარ შემთხვევაში და არასგზით არ შეუძლიათ სარწმუნოებრივი ან ეკლესიური ურთიერთობა გამართონ არც ერთ სხვა არა მართლმადიდებელ ეკლესიასთან, სამღვდელოებასთან ან ეკლესიურ ან სარწმუნოებრივ ხელისუფლებასთან, ე. ი. იმისთანასთან, რომელთაც არა აქვთ ურთიერთობა მსოფლიო პატრიარქთან. ერთადერთი მსაჯული, რომელსაც შეუძლია ამ საგნის განმარტება, არის მსოფლიო პატრიარქის ექსარქოსი, თიატირის მიტროპოლიტი.

საჯარო ღვთისმსახურება უნდა სრულდებოდეს ყოველთვის ქართულს ენაზე, და იმ შემთხვევაში თუ მსოფლიო პატრიარქატის წარმომადგენელი ეპისკოპოზი ან მღვდელია დამსწრე, ბერძნულსა და ქართულს ენაზე.

მოძღვარ-მღვდლის მიერ წირვაში მონაწილეობის მისაღებად მიპატიებულთ არა ქართველ მართლმადიდებელ სამღვდელო პირთ შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ ენაზე სწირონ.

წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის კრებულს უფლება აქვს ცალკე პირთა თხოვნით კერძო ღვთის მსახურება გარდა ქართული ენისა სხვა ენაზედაც შეასრულოს, თუ ნებას დართავენ როგორც მოძღვარი-მღვდელი, ისე სამრევლო საბჭოც.

მ უ ხ ლ ი მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე

გარდა ეკლესიის მოძღვარ-მღვდლისა საზოგადოებას შეუძლია იყოლიოს მღვდლები და დიაკვნები; მათ რიცხვსა და გასამრჯელოს სამრევლო საბჭოს წინადადებით ვანსაზღვრავს საზოგადო კრება.

მ უ ხ ლ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

1. წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მოძღვარი-მღვდელი, მღვდელი ან დიაკვანი შეუძლია იყოს ვინც შემდეგ პირობებს უდგება:

ა) იყოს შთამომავლობით ქართველი და ქართული ენა იცოდეს იმდენად, რომ ამ ენაზე ღვთისმსახურება და ქადაგება შეეძლოს.

ბ) არჩეულ იყოს სამრევლო საბჭოს მიერ და მისჯანვე წარდგენილი თიატირის მიტროპოლიტიისათვის დასამტკიცებლად.

ბ) დამტკიცებული თიატირის მიტროპოლიტის მიერ.

დ) იყოს წესიერად ნაკურთხი და ღვთისმსახურება არ ჰქონდეს აკრძალული.

საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატთა ზნეობრივ თვისებათა ან სამღვდლო ღირსებათა ერთადერთი მსაჯული თიატირის მიტროპოლიტია.

თუ ამორჩეული და დამტკიცებული კანდიდატი ერის კაცია ან დიაკვანი, თიატირის მიტროპოლიტის მიერ იქნება ნაკურთხი.

ვერავინ დაინიშნება წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მოძღვარ-მღვდლად, მღვდლად ან დიაკვნად სამრევლო საბჭოს ნების გარეშე ან წინააღმდეგ (ამ საგნის ინიციატივაც მას ეკუთვნის), ერთის მხრით, და თიატირის მიტროპოლიტის დაუდასტურებლად (რომელსაც ვეტოს შეუვალი უფლება აქვს), მეორეს მხრით.

ეკლესიის მოძღვარი-მღვდელი არის საზოგადოების სარწმუნოებრივი ხელმძღვანელი და მისი სულიერი გამგე და წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მღვდელთა და დიაკვანთა კრებულის უფროსი. მისი და ეკ-

ას დანარჩენ მღვდლების მოვალეობაა ღვთისმსახურების შესრულება, სახარების ერთგული ქადაგება, ყმაწვილებისათვის სწავლება და საზოგადოების ყველა წევრთათვის (მრევლი-ამომრჩეველი), მობინადრე და არამობინადრე მრევლისა და საზოგადოებასთან დაკავშირებულ ყველა ოჯახისათვის სამღვდელმოქმედო ზრუნვის გაწევა. მათ აქვთ აგრეთვე მღვდელმოქმედების უფლება საზოგადოების გარეშე მყოფ იმ პირთათვის, რომელნიც მოითხოვენ ამას. მათ სამღვდლო და სამწყესო მოქმედებაში მოძღვარი-მღვდელი და საზოგადოთ ეკლესიის კრებული ემორჩილებიან მხოლოდ თავის ეპისკოპოსის (სახელდობრ თიატირის მიტროპოლიტის) ხელისუფლებას.

საზოგადო კრება და სამრევლო საბჭო არ უნდა ჩაერიონ სამღვდელმოქმედო და სამწყესო ნაწილში, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაში ეკუთვნის მღვდელსა და დიკვანს.

გარდა მოძღვარ-მღვდლისა, ქართულ მართლმადიდებელ წმ. ნინოს ეკლესიის დანარჩენნი მღვდლებიც იღებენ მონაწილეობას სამრევლო საბჭოს ყველა სხდომებში მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით. დიაკვნები არ იღებენ მონაწილეობას საბჭოს სხდომებში, თუ არ საბჭოს მიერ საგანგებო მიწვევით და მხოლოდ სათათბირო ხმით.

მოძღვარი-მღვდელი და ეკლესიის მღვდლები და დიაკვნები გადადგომის თხოვნას მიაართმევენ თიატირის მიტროპოლიტს და სამრევლო საბჭოს, სამი თვის წინ ყოველ ცალკე შემთხვევაში.

მოძღვარ-მღვდლის გადადგომის, ავადმყოფობის, არ ყოფნის ან სიკვდილის გამო მის თანამდებობას დროებით ასრულებს ეკლესიის დანარჩენ მღვდელთაგან უხუცესი. თუ ეკლესიას სხვა მღვდელი არა ჰყავს და საჭიროება არ ითმენს, სამრევლო საბჭოს შეუძლია სთხოვოს მიტროპოლიტს დანიშნოს დროებით და საბჭოსაგან გარკვეულად

გამოთქმულ თანხმობით, სამრევლოს გარეშე მყოფი მღვდელი, რომელსაც დაევალება დროებით ღვთისმსახურების შესრულება. ეს მღვდელი შეიძლება ქართველი არ იყოს და ღვთისმსახურება შეასრულოს დროებით სხვა, არა ქართულ, ენაზე. ეს დროებით უცხო მღვდელი ეკლესიის დროებით მოძღვარ-მღვდლისაგან განსხვავდება იმით, რომ სამრევლო საბჭოს სხდომებში მხოლოდ სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება ექნება.

ეკლესიის მოძღვარი-მღვდელი, მღვდლები და დიაკვნები, მართლმადიდებელ ეკლესიის საზოგადო დებულებათა თანახმად, სამართალში მიეცემიან მიტროპოლიტის მიერ მის საეპარქიო სათანადო უფლებით მოსილ სასამართლოს მიერ განსამართლებლად. ყოველ შემთხვევაში სამრევლო საბჭო მოსმენილ უნდა იყოს სიტყვიერად ან წერილობით.

სასჯელ დადებულის მიმართ თიატირის მიტროპოლიტი ისარგებლებს ღვთისმსახურების აკრძალვის და სამუდამოდ ან დროებით გადაყენების უფლებით, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაში ეპისკოპოზს ეკუთვნის.

წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის საერო მოხელეთ ნიშნავს და ითხოვს სამრევლო საბჭო.

კრებულის წევრთა უწესოების, მღვდელმოქმედების ცხადის ნაკლულოვანების ან სხვა რაიმე მძიმე შემთხვევაში სამრევლო საბჭოს შეუძლია სთხოვოს თიატირის მიტროპოლიტს დანიშნოს გამოძიება დამნაშავეთა დროებით ან სამუდამოდ გადასაყენებლად.

მ უ ხ ლ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე

წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მოძღვარ-მღვდლის და საზოგადოთ კრებულის ჯამაგირებს, ბინის ფულს და სხვაგვარ ჯილდოს განსაზღვრავს და საზოგადო კრებას წარუდგენს მოსაწონებლად სამრევლო საბჭო.

საზოგადო კრებისათვის.

მ უ ხ ლ ი მ ე ო ც ე

საზოგადო კრების მოსაწვევად თვითეულ საზოგადოების წევრს (მრევლი-ამომრჩეველი) უნდა ჩაბარდეს მოწვევის ბარათი, სულ ცოტა, ერთის კვირის წინ.

საზოგადო კრება ხდება ყოველ წლივ ხარჯთ-აღრიცხვის ასრულების დაწყებამდე. საზოგადო კრება ნიშნავს ამისათვის სამს მოანგარიშე რევიზორს, რომელთაც დაევალებათ წლის ბოლოს ანგარიშების და კასსის შემოწმება და წინადადებების წარდგენა საზოგადო კრებისათვის, რომელიც წესისამებრ მოწვეულ უნდა იქნას წლიურ მუშაობის დამთავრებისა და ანგარიშების დახურვის შემდგომ. იგივე საზოგადო კრება (ანგარიშების დახურვის შემდეგ მოწვეული) მოისმენს სამრევლო საბჭოს მოხსენებას და მოიწონებს ან არ მოიწონებს საზოგადოების საქმის გაძღოლას კანონიერებისა, გამგებლობისა და საქმიანობის მხრით.

საზოგადო კრება იღებს გადაწყვეტილებათ, რამდენიც უნდა იყოს დამსწრე, დამსწრეთა ხმის უმეტესობით

სამრევლო საბჭოს პრეზიდიუმში არის იმავე დროს საზოგადო კრების პრეზიდიუმიც. სამრევლო საბჭოს საერო წევრთა ასარჩევად საზოგადო კრება, 8, 9, და 10 მუხლების თანახმად, ხდება ყოველ ორ წელიწადს მაინც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საზოგადო კრების მოწვევა აუცილებელია ამ წესდების ძალით, სამრევლო საბჭოს შეუძლია მოიწვიოს საზოგადო კრება, წარუდგინოს მას წინდაწინვე შემუშავებული რიგი საკითხებისა და მოსთხოვოს თავისი აზრი გადაწყვეტილების სახით იქნება თუ რჩევისა. ასეთ პირობებში მოწვეულს საზოგადო კრებას შეუძლია დადგენილებათა გამოტანა იმ საკითხების

შესახებ მხოლოდ. რომელთაც სამრევლო საბჭო წარუდგენს, თვითონ კი არ შეუძლია ახალის წესრიგის შემუშავება. სამრევლო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საზოგადო კრება, თუ ამას მოითხოვს საზოგადოების ჩაწერილ წევრთა (მრევლი-ამომრჩეველი) ერთი მეოთხედი მაიმც. თხოვნაში განსაზღვრული უნდა იყოს ის საკითხი ან საკითხები, რომლის შესახებ, მოთხოვნის სურვილის თანახმად, საზოგადო კრებამ უნდა გამოსთქვას თავისი რჩევა ან გამოიტანოს დადგენილება. საზოგადო კრება იხილავს ამ პირობებში წარდგენილ საკითხებს.

წარმომადგენლობისათვის

მ უ ხ ლ ი ო ც დ ა პ ი რ ვ ე ლ ი

წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მოძღვარი-მღვდელი მისი კანონიერი წარმომადგენელია ყველა მართლმადიდებელ, მუდმივ თუ დროებით, სარწმუნოებრივ დაწესებულებათა წინაშე; სამრევლო საბჭოს შეუძლია, თუ მართლმადიდებელ ეკლესიის წესი ამის ნებას იძლევა, გააყოლოს მას ან დანიშნოს წარმომადგენლად სამრევლო საბჭოს რომელიმე სხვა წევრი ან ვინმე სხვა მრევლი ამომრჩეველი, ან კიდე მობინადრე ან არა მობინადრე მრევლი კონგრესებზე, ყრილობებზე და სხვ. დასასწრებლად.

შინაგანი წესების, სამწყსო ეპისტოლეთა და დარიგებათათვის

მ უ ხ ლ ი ო ც დ ა მ ე ო რ ე

საზოგადო კრებას სამრევლო საბჭოს წინადადებით შეუძლია ამა წესდების სამოქალაქო ნაწილის განმარტებისათვის და მისს ხმარების პირობების უფრო ნათელსაყოფად შემოიღოს შინაგანი წესები.

თიატირის მიტროპოლიტს სამწყსო ეპისტოლეთა და დარიგებათა საშუალებით შეუძლია ღვთისმსახურების და წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის კრებულისა და ერთგულთა სარწმუნოებრივ მოვალეობათა წარმართვა და ამა წესდების ხმარების განმარტება.

სიმბოლოზათვის

მ უ ხ ლ ი ო ც დ ა მ ე ს ა მ ე

წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის სიმბოლო არის წმ. ნინოს ვაზის ჯვარი.

წესდების შეცვლისათვის

მ უ ხ ლ ი ო ც დ ა მ ე ო თ ხ ე

არავითარ შემთხვევაში და არასგზით ამა წესდებაში არ შეიტანინება ისეთი ცვლილება, რომელსაც შეეძლოს მართლმადიდებელი ბუნება ან ქართული ხასიათი შეუცვალოს საზოგადოებას.

მეორეს მხრით, ვერც ერთი ისეთი ტექსტი, რომელსაც შეუძლია ოდნავი ცვლილება შეიტანოს წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის კანონიკურ წესში ან შესცვალოს, რამდენადაც ეს ამ ეკლესიას და მის ორგანოებს შეეხება, ეპისკოპოზის, ეკლესიის მოძღვარ-მღვდლის და მისი კრებულის უფლება-მოვალეობანი, კანონიერად ვერც განიხილება და ვერც კენჭის საყრელად დაისმის, თუ მსოფლიო პატრიარქატისაგან მოწონებული არ არის და ეს მოწონება გარკვეულად არ არის გამოთქმული.

ამის გარეშე, ამა წესდების ყოველივე სხვა ცვლილება მიღებულ უნდა იქნას საზოგადო კრების ხმათა სამის მეოთხედით და კიდე ერთის ხმით; საზოგადო კრებისათვის თვითეთული წევრი პირადად უნდა იყვეს მოწვეული და მოწვევის ბარათში აღნიშნული — ტექსტი ცვლილებისა ან განზრახულ დამატებისა. საჭიროა საზოგადოებაში ჩაწერილ წევრთა (მრევლი-ამომრჩეველი) ნახევარის და კიდევ ერთის წევრის დასწრება, რომ საზოგადო კრების დადგენილება კანონიერად ჩაითვალოს.

საზოგადოების დაშლისათვის და

ქონების გადაცემისათვის

მ უ ხ ლ ი ო ც დ ა მ ე ხ უ თ ე

საზოგადოების დაშლის შემთხვევაში, უკანასკნელი საზოგადო კრება, ქვორუმისა და კენჭის ყრის იმავე პირობების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია ამა წესდების 24 მუხლის მესამე ნაწილში, გადასწყვეტს თავის უძრავ და მოძრავ ქონებათა გადაცემას ერთ ერთს ქარ-

თულ ან ფრანგულ ფილანტროპიულ და ქველმომქმედ დაწესებულებებისათვის, რომლის პრინციპები ამა საზოგადოებისას შეესაბამებოდეს. ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ქონება ვერ გადაეცემა ვერასგზით ვერც სახელმწიფო რამე დაწესებულებას, ადმინისტრაციას ან ორგანოს, ვერც რომელსამე პოლიტიკურ პარტიას ან საზოგადოებას, თუ არ მართლმადიდებელს და ქართულს, და ვერც რომელსამე მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას, გარდა ქართულისა.

დიდება ღმერთსა ყოვლად შემძლებელსა და ყოვლად სახიერსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.
ამინ.

შედგენილია პარიზში, მკათათვის 21-სა.
(მკათათვისა 8-სა ძვ. სტ.) 1929 წ.

ზინაარსი

83.

1. მსოფლიო პატრიარქის ბასილ მესამის ეპისტოლე 3
Epitre de S. S. Patriarche Ocuménique Basil III du Avril 1926
2. დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ეკზარხოსის, თიატირის მიტროპოლიტის გერმანოსის წერილი 5
Lettre de Mgr le Métropolitte de Thyatire de l'Europe Occid et du Nord, adressée au Conseil paroissial le 17—7—1929
3. მართლმადიდებელი კალენდარი 7
Calendrier orthodox
4. მღვ. გრ. ფერაძე (ბიოგრაფია) 9
Le Père Gregoire Peradzé (notice biographique)
5. ქადაგება, წარმოთქმული პირველ ქართულ მართლმადიდებელ წირვაზე, პარიზში, მაისის 31-ს, 1931 წ. 12
Sermon prononcé a la première liturgie orthodox à Paris en langue géorgienne, a 31 Mai 1931
6. ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსი 19
Bessarion Gabachvili (XVIII c.) Gr. Perabzé
7. წმიდა ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის ანუ მრევლის წესდება 26
Statute be la Paroisse géorgienne be Paris

მისამართი: —

DJ VARI VAZISA
4, Rue Récamier, Paris (VII)

Imp. Basile, 1, Villa Chauvelot, Paris (15^e)

